

579  
1986

1986 ՕՒՅՆԱԳՐԵՒՄ N° 2  
ԲՆԱԿ

ISSN 0959-3065  
ՀՈՂԱՌԻՄԵՅՅ



გიორგი შარათელი

## სალამი ყრილობას

დღეს ჩვენი ჰარტია  
ურილობას ატარებს,  
მშვიდობა რომ გვქონდეს  
მსოფლიოს ჰატარებს.  
იმედი რომ გვქონდეს,  
და რწმენა რომ გვქონდეს,  
ყოველ დღეს ჩვენთვის რომ  
სიკეთე მოაქონდეს...  
ჩვენც სუთსე ვისწავლით,  
ვღებთ მტკიცე ჰირობას,  
სალამი,

სალამი,  
სალამი  
ურილობას!





# ოქროპაპა

ჩვენი ოქროპაპა მათე  
 ხშირად, საღამოსას  
 დაჯდება და ესოს ბავშვებს  
 ვეულებს ჯვერდით მოიხვამს.  
 ასაკიც კი ავიწელება —  
 რის წუწუნი, რა კვხესა!  
 ჭბუკავით აენტება,  
 თვალში ცვეცელი გავეხვავს.  
 ვუება ისე, თითქოს რაღაც  
 ორი დღეა მას უკან,  
 კიკვიტემ რომ მის ერთ მშაკაცს  
 ზორტსიგარი ახუქა.  
 ან შორს, სტეპზე, სანახევროდ  
 დაშლილ თივის ზვინებთან  
 გპირის ცხედარს შაურა ცხენი  
 როგორ დასჭინხვინებდა.  
 როგორ იგლო მტერმა ხელში  
 ვაჟი კომკავშირელი,  
 ბრძოლის ველზე ზირვეული და  
 სიმღერაშიც ზირვეული.  
 როგორ იღვა და ჯაღათთა  
 რახში როგორ ესვია!  
 მტერი მრწოლას ვერ მალავდა,  
 — ბიჭია თუ ვეფხვია?  
 არ უკრთოდა ტეგვიანს მუხთალს  
 იღვა გულგაღვდილი,  
 მესროლეთო ჩქარა, ქუხდა,  
 ექოს ჭეჭდა მენივით.  
 როგორ მისცხეს თუთრებს მერე,  
 ბრძოლაც როგორ მინეღდა,  
 წითლებმა რომ გადათელეს  
 ბანდა დენიკინელთა.  
 მახათაზე ბინდი წვება,  
 მთვარეა თუ უკუნი,



კარს მოდგება ქეთო ბებო  
 აღერსიან ბუხღუნით:  
 რომ დაბურდი, ბერიკაცო,  
 გაიკებო როდისდა?  
 უმწველივით ნუკი ანცობ,  
 სჯობს ეს ჯუბა მოიხსა!  
 — კარგი, კარგი,— გაშლის ხელებს  
 და თავისას არ იშლის,  
 — ხვალაც მოდით, გავისწენებ  
 ნესტორ კაღანდარიშვილს.  
 და რა საქმეც უნდა ჭქონდეს,  
 ახსოვს დანაპირები,  
 ჩვენს გულებშიც რომ ცოცხლობდეს  
 წმინდა სსოფნა გპირების.  
 ოქროპაპა—ჩვენი მათე,  
 ხშირად, საღამოსას  
 დაჯდება და ესოს ბავშვებს  
 ვეულებს ჯვერდით მოიხვამს.

1890/1

ს.წ. სსრ კ. მარქსის  
 სახ. საბ. ბიბლიოთეკა



# ქილისპირული

ბაღრი ზოხონელიძე

მხატვარი ირაკლი შარჯინი

— მამიკო, აბაზანაში ბადუნანი უნდა ჩავასხა, — თქვა პატარა ბიჭმა.

ბიჭი ჯერ ხუთი წლისაც არ არის.

— ჩაასხი, — მამა ტელევიზორს უყურებს და უცებ გაიკვირებს, — ახლა ხომ „ძილი ნებისა“ იქნება?!

— მაშინ ჯერ გადაცემას ვუყურებ, მერე ვიბანავებ, — ბიჭი მამის გვერდით მოკალათდა.

— დღეს თუ მოიკითხე ბებია-ბაბუები? — იკითხა უცებ მამამ.

— თვითონ დარეკეს, — ბიჭი მიხვდა, და-აშავა და ამიტომ სწრაფად უპასუხა მამას. უპასუხა ისე, რომ არც შეუხედავს.

— სად ეცალა, მთელი დღე თამაშობდა, — ჩაერია საუბარში დედა, — ნიგნის წაიკითხვაც არ დამაცალა... არადა, ამის ხნის ბავშვებს ყველაფერს უკითხავენ.

— ხვალ დილით ადრე დავრეკავ ორივე ბებიასთან და ორივე ბაბუასთან... მერე მთელი დღე ვიკითხოთ, — დაჰპირდა ბიჭი

დედას, თან ტელევიზორს თვალს არ აშორებდა.

— ვნახოთ, — თქვა მამამ.

— რალა დარჩა ხვალამდე, — გაელიმა დედასაც.

ტელევიზორის ეკრანზე ორი წრუნუნა დარბოდა და სისხლს უშრობდა კატას.

ბიჭმა უცებ გადაიკისკისა. დედამ თავზე ხელი გადაუსვა, მამამ აკოცა.

ყოველ საღამოს თქვენც გახსენდებოთ, რომ მთელი დღის განმავლობაში რალაც დააშავეთ, რალაც აწყენინეთ დედ-მამას. თქვენ უკვე ბევრ რამეს ხვდებით... რომ იცოდეთ, როგორ გვიყვარხართ, თქვე პატარა მაიმუნებო.

ამ ხუთი წლის ბიჭუნას რომ უსაყვედურა მამამ, ბებია-ბაბუები რატომ არ მოიკითხო, ხომ გახსოვთ... თქვენც წურასოდეს დაივინებთ მათ. ხშირად მოიკითხეთ, თუ მათთან არ ცხოვრობთ, ხოლო თუ ერთად ხართ, მოეფერეთ ხოლმე. იცით, უთქვენოდ

რა მოწყენილები არიან?! ზაფხული ეზარებათ, ზაფხულის მოსვლა უთქვენოდ იწელებო და ძლივს ილევა ცხელი დღეები. ჩამოსხდებიან და სულ თქვენზე ლაპარაკობენ.

— გახსოვს, ეს რომ თქვა, — იხსენებს ბებია.

— როგორ არა, შენ თუ გახსოვს, ის რომ გააკეთა, — ახლა ბაბუას ელიმება.

— მაგას ვენაცვალე, — ბებიას ტირილი ერევა.

— უჰ, ერთი სული მაქვს, როდის ჩამოვა, — ბაბუა ცდილობს არ შეიმჩნიოს ცრემლიანი მონატრება, მაგრამ ხმა უკანკალებს...

ტელევიზორში კი წრეწუნებმა შეიკლეს კატა. ბიჭი აღარ იცინის და ამბობს: იცით, ცოტა მეცოდება კატა, — ფილმის დამთავრების შემდეგ კი კითხულობს: კაცი რატომ მღერის იავენანას?

— მართლა კაცი მღერის, ხომ იცი, — დედა მრავალმნიშვნელოვნად აქნევს თავს, რა დაკვირვებული შვილი გვყავსო.

ბიჭი ამაყად ისუსება.

...თქვენც ხომ გსიამოვნებთ, რაიმეს რომ მოგინონებენ მშობლები. ასევე ნასიამოვნებმა პატარა ბიჭმა გაიმეორა, — ხვალ დილით ადრე ორივე ბებიას დავურეკავ სახლში და ორივე ბაბუას სამსახურში, მერე მთელი დღე ვიკითხოთ, ხომ, დედიკო?..

ახლა კი ვიბანავებ... ბადუხანს ჩავაგსხამ, რა?

შეღის ბიჭი საბაზანოში. მწვანედ აქაფებს ბადუხანი წყალს, აბრჭყვილებს, აციმციმებს. ბიჭს ქაფი პეშვით ამოაქვს, სინათლეზე გახედავს. მერე ჩადის აბაზანაში. ერთ ხანს დგაფუნობს თბილ წყალში და ნასიამოვნები ყუჩდება.

— მამი, — ისმის უცებ საბაზანოდან, — მამი, მუსიკა ჩამირთე, რა, — ამას რომ ამბობს ბიჭი, გრძნობს, როგორ ღიმილით გადახედავს დედ-მამა ერთმანეთს. მერე მამა წამოდგება. ჩართავს მაგნიტოფონს და სააბაზანოს ოდნავ მოღებულ კარში შეიჭყიტება. მამამ კარგად იცის, რა და ვისი სიმღერა უყვარს შვილს.

ორჯერ გაისმება ტელეფონის ხარი. ორივეჯერ დედა უპასუხებს, არა, ჯერ არ სძინავსო... აბაზანაში ნებივრობს, ბატონოო.

ცოტა ხანში ძილბურანში წასულ ბიჭს დედა ამშრალებს, მამა ფრთხილად აიტაცებს და გალულუნებულ ლოგინში ჩაანევინს...

როგორ გვიყვარხართ, თქვე პატარა მამუნებო... აი, ახლაც, ნასიამოვნებს მშვიდად რომ გძინავთ, დიდხანს, დიდხანს გიყურებთ, მერე დიდხანს ვფიქრობთ თქვენზე და არავითარი ძილისპირული ზღაპარი თუ სიმღერა აღარ გვჭირდება.

მუხრან ჯაბუაძე

## სირუ ხატავს

ცირუ ზის და სურათს ხატავს:  
ეზარება ჩიტებს კატა,  
მაგრამ ცირუ მსუნაგ კატას  
ვიცო, ჩიტებს არ გაატანს.  
მაშინ ცირუ რატომ ხატავს  
სურათს, სადაც ჩიტებს კატა  
ეზარება, თუკი კატას  
ჩიტებს მიინც არ გაატანს?



დავბინჯა

90

# შინიან ზეპირა



„ცნობის ფურცელი“ მოაქონდა მამამისის, განათლებული მღვდლის ოჯახისათვის და პატარა ტიტე ტაბიძე რუსეთ-იაპონიის ომის ამბებს უკითხავდა ეზოში თავშეუკრივლ გლეხობას. მთელ სოფელს ეამაყებოდა ასეთი გონიერი ბიჭი, რომელმაც ჯერ კიდევ ოთხი წლისამ ისწავლა კითხვა, როცა მამას დასდევდა მის მიერ სოფელი ბავშვებისათვის გახსნილ სკოლაში. კითხვა ხლმ ისწავდა და, თურმე, სურათების მიხედვით ბიბლიურ თქმულებებს თავიდან ბოლომდე ყვებოდა.

...კიდევ, როგორც ყველა ბავშვი, ის რიონში ტყუილად აღიზნებოდა, თეზაობდა, რძეში ჩაფხენილ ქალს და ყველს მიირთმევდა, თამაშობდა ტლბიჭებში, რომლებშიც ვინა „მისი ოცნების, მისი გვარის ტყუპისცარი“, ტიტეზე უწილ უფროსი ბიძაშვილი გადაკრიონ, გატუნა ტაბიძე.

ბავშვი კაობების ხაში ტრიალებდა, რუფანებში—მადრიის უყმური სუნთქვა; ხვილი-ფხვიში მშობრივ მგლებს ბუილი ისმოდ... თითქოს ამ ადგილებში წვირილ ჯაგნარი ტყვე არ იზრდებოდა, მგელს ყმუილის ძაღაც არ შესწვსო. ცივ-ციხელებისაგან ამტვრევა ადამიანსაც და მიდამასაც.

ასეთი იყო კლდის დაბლობი მაშინ... მაგრამ ტაბიძეების ბიჭებს ბუნებით დაყვით ამ ჯოჯოხეთის სამოთხედ ქვევის ნიჭი, „რიონის ტალღა დაევენათ სიტყვა ანკარა.“ დაუწრთბელი კაობების თავზე ტრიანი „ოქროს მზეთამებს“ ხედავდა, ყანებიდან ესმოდა გლეხურ შრომას ადგენებულ გაბმული სიძღვრა; ადახასტურის ხვირებს შეგხარადა, ბურქებზე ყველა ციონათედა აკაკის ღექსს ანსენებდა, ვდანებოდა დავითისა თუ თამარის ღრონი, და გმირობაზე ოცნებობდა...

„შორები რიონს და ზღვა გაგიტანს და გული ზღვაზე მღვდვარედ შეფთავს“.

რიონზე ქარი ტრიფებს ხრიდა, მას კი „ესმოდა საგალობელი“... და მის გულში ნელ-ნელა იზრდებოდა „სიმღერის გამბედაობა“...

...საგანებოდა ბავშვებისათვის ტრიანი ტაბიძეს არაფერი დაუწვრიდა, მაგრამ ყური რომ მიუგდოთ მის ღექსებს, თქვენც დივბივით ავიჩქროდებოთ გული, თქვენც ურუანტელად დაგივლით მათი მჩქეფარი სტრიქონები... იმითა,



## მამა გამარჯვება. ვაგილო სიმონიძე

80—90 წლის წინათ, როცა საქართველოში ჯერ კიდევ თითქმის არ იყო რკინიგზები, როცა მდებარეობდა ქვეყნის მხოლოდ ერთი თუ ორი ავტობუსი და დღიობა, შორეულ სოფლებში ცხენებით დახურულ ველებზე—გორიყანის დაპყვება მგზავრები და დაქვინდა ფსტა.

„მოაქვს დღიყანის კრწველები და „ნაკაღული“—უწვრიდა თავის ერთ ღექსში ტრიონ ტაბიძეს. და ადამიანს ნათლად წარმოუდგება თვალწინ 9—10 წლის ბიჭუნა, ხელსახოცით თავწაკრული, ფხვიშიველი რომ გადავდებდა ტყუშულ ლოტებს და დღიყანის შესახვერად გარბის, ჩამოართმებს შევტრებს ფუფულა გემრიელ კრწველებს და იმ გულით საყვარელ პუნნაღს, რომელშიც აკაკისა და ვაჟა ფშაველის, შიო მღვიმელისა და ეკატერინე გაბაშვილის ღექსებს და მოთხრობებს, კიდევ ათას კუთის სასწავლებელ ამბავს კითხულობს...



რომ ამ ღვკსებში თქვენი სამშობლოა, თქვენი საქართველო, „მთა მიყვება მთას,

მთა მთას აწყვება,  
ღვას ღანჭვრების კორიანტელი“...

იმიტომ, რომ ამ ღვკსებში იგრძნობა კეთილი, სუფთა და პატრიოსანი გული, ასე რომ სპირდება ყველას, მეტადრე ბავშვებს...

ერთადერთი შვილი ჰყავდა—და იმას ნატრობდა, იმას ვეფერებოდა პოეზიის თუ სიყვარულის ძალას, სიკეთე და გულმოწყალება ყოფილიყო ტანიტ ტაბიძის სალოცავი და საფიცარი. სიყვარულით ზრდიდა და ანებივრებდა შვილს, ანებივრებდა ყველა ბავშვს, ჭისთანაც კი კავშირი ჰქონდა.

...ძველებურ თბილისურ დახურულ ეზოში ერთად თამაშობდნენ ამ ეზოს მაცხოვრებლები—ქართველი და აისორი, რუსი და სომეხი ბავშვები. გამორჩეობდა ნიტას მამა და ბავშვები მისკენ გარბოდნენ—იცოდნენ, ყველას სათითაოდ ჩამოურიგებდა ვერცხლის ქალღმერთი გამოხვეული შოკლადის ბურთულებს, რომლებშიც, ყველაში, სხვადასხვა პაწია სათამაშო იყო. თუ ამ დროს ნაყინის გამყიდველი გამოჩნდებოდა, ხურდა ფუტსაც მისციმდა ბავშვებს ნაყინისათვის. პოეტის ღისწული იგონებს, ბატონებით ავადმყოფს, ახლავ გამოლოცვებულს როგორ ხედებოდა ხოლმე ბალიშკვეშ ბიძაშისის მოტანილი რაიმე ნანატრი ნუგბარი.

სიკეთე და სიუხვე კარგია, მაგრამ კიდევ იცით, რა იყო შესანიშნავი. ეს ამოღენა კაცი, როცა შეამჩნედა, რომ ვინმე ტყუობდა, თვითონ წითლებოდა. როცა გაბედულებას, შეუპოვრობას და პატრიოსნებას დაინახავდა, მაშინ კი გული ვხსნებოდა და გულით იხარებდა.

ღვს თბილისის ერთ ღამამ პარკში ყოველღვე დაჰყავთ სასიერო პატარა მანანა ასათიანი, ტისანიშნავი ქართველი მწერად-მოლგაწეების ტიციან ტაბიძის, ვერონტი ქიქოძის, ღვან ასათიანის შვილთაშვილი... ამ პარკში დამეგობრდნენ მანანა და გოგი ბაბუ... ვინ არის გოგი ბაბუ? ერთი ობოლი ბიჭი, რომელიც ტიციან ტაბიძემ თურმე გულთან მიიღო და მოათბო, რადგან თავისი სახლის ფანჯრიდან დაინახა, როგორ არ შეეპუა ის ორ უფროს დიდ ბიჭს, მისი დაჩაგრა რომ მოინდომეს.

ასეთი კაცი რომ იყო და ასეთი პოეტის მშობლი ტომ შეეძლო ტიციან ტაბიძეს ეთქვა: *ბიძგა-ნიფთსი*

„თუ რამე მიმაქვს ამ ქვეყანიდან — ბენენივრება ეს უსაშველო“.

თავისი ქვეყნის ნაწილი რომ იყო, როგორც „ხვესურის ჯაბუის ნაგლეჯი რგოლი“, ამიტომ არის ისევე ცოცხალი:

„მაშ გამარჯვება, ტკბილი სიცოცხლე, დაგრჩებით ერთად ჩვენ განუყრელი“.

ციციანო ხაჩაბალიძე

ბიძგა-ნიფთსი

### ისე უბრალოდ, როგორც მუსრანზე

ისე უბრალოდ, როგორც მუსრანზე გაზაფხულისთვის მოდის ბალახი; ისე უბრალოდ, როგორც არაკვამ ალაზლაზდება მზეზე კაღმძახი; ისე უბრალოდ, როგორც მერცხალი დაუბრუნდება შინაშინდელ ბუდეს; ისე უბრალოდ, როგორც ფშაველ ბიჭს დილის ცისკარი სასთუმლად უდევს; ისე უბრალოდ, როგორც ნაკაზი სღარაჯაბს ფარეხს და ცხვარის ფარას, როგორც დაწვება ნისლი მენიზარზე და ბღღურიალა თერკს კალთით დაფარავს; ისე უბრალო და ისე სადა, როგორც ურმული გუთნის დედისა, როგორც გადიას დავრული ქადა— სმა მშობლიური მე დღეს მეღირსა. ისე უბრალოდ მინდა ვუმღერო ჩემს განსწავლებულ მშობლიურ მიწას; ლომისთვის იყო ის წილნაყარი, ახლაც სამშობლოს მარჯვენით იცავს!



# თუთიყუშ ქაკოს თავბაღასაკალი

მამუკა სალუქვაძე

1901 წელი

თუთიყუშ ქაკოს დაბადებიდან  
სულ რაღაც წელი იყო გასული,  
როდესაც ერთ დღეს, ერთის დანახვით  
მას შეუფერდა უცხო ასული.  
სამოთხის ჩიტი გვეგონებოდათ  
ნაზი ჭორჭეტა ბანანზე მჯდარი,  
თვით მშვენიერი და მიმზიდველი,  
მომწიფებული ბანანის დარი.

ჭორჭეტას ქაკი თითქმის ეოველდღე  
ორჯერ, სამჯერ ან ოთხჯერ ხედავდა,  
მაგრამ შორიდან ეტრფოდა მხოლოდ  
და ვერაფრის თქმას ვერ უბედავდა.

ბოლოს გაბედა და ასე უთხრა:

— ხედავ, მოვედი, სიმორცხვეს ვძლიე,  
ტე კიერო მუხო, ფურეტემენტე,<sup>1</sup>  
დიას, ჭორჭეტა, მივეარხარ ძლიერ.

მხად ვარ გავუძლო ეველა განსაცდელს,  
თუნდაც სახლანროს და საარაკოს,  
გსურს, გამომცადე, რაც გინდა, მოხოვე  
და შევასრულებ ულანარაკოდ.

— თუ ხარ რაინდი, — უთხრა ჭორჭეტამ, —  
და თუ ჩაიდენ ამკვარ გპირობას,

რომ გადაიფრენ გვინეის სრუტეს,  
შემიფარდები, გამლევ ჰირობას.  
ოღონდ საბუთად უნდა მახეწო  
რამე ევაგილი, თუნდაც მწვანელი,  
თუნდაც ბალახი, თუნდაც ფოთოლი  
კონტინენტიდან ჩამოტანილი.  
რაინდი არც კი დაფიქრებულა,  
მან არ იცოდა, რა იყო შიში,  
მოსწედა ადგილს და დაუფიქრებლევ  
გაუჩინარდა ბურუსში ხშირში.  
დიდხანს იფრინა ნისლში და ბოლოს  
გეზი დაჭარგა, მხარი ეცვალა,  
ფრთებმა უმტკუნეს დაღლილ თუთიყუშს,  
სხეულშიც ძალა გამოცვალა.  
ღონემისდილმა და ქანცვაცლილმა,  
საბრალომ ნანაროს ძლივს მიაღწია  
და იქ დაეცა გონდაგარგული  
ისე, რომ თავიც ვეღარ ასწია.  
ხომ შეიძლება, რომ მომკვდარიყო,  
გამორიცხული სულაც არ იყო,  
და მოკვდებოდა კიდევ უთუოდ,  
სათყვება რომ არ მომხდარიყო.



თვესაობიდან დაბრუნებული ვინმე ნეგრილი, ზიგმეი ზაკო,<sup>2</sup> შემთხვევით მოხვდა სანაპიროზე და ცოცხალმკვდარი იზოვა ჟაკო. ნეგრილმა ჩიტი შინ წაიყვანა, საჭმელ-სასმელი მიართვა ჯამით და როცა ჟაკო მოსულიერდა უავის სმითა და ხილფაფის ჭამით, უთხრა ზიგმეის:—მუნას გრაცის, კარო ამიგო,<sup>3</sup> მაღლობთ მძობილო. მაგრამ მერჩინა მოვამკვდარიყავი,— დასძინა ბოლოს უკმაყოფილოდ, — გამაგებინა ნეტავ, რა დღევა, ანდა საათის არის რომელი, ვინ იცის, ალბათ, ფერხანდო ზოხე ჩემი ჟორჟეტა როკოარ მოძელის. მოლაპარაკე თუთიუშს ზაკო

გაოცებული სახით უცქერდა, ჩიტის ტიტინის სმენით ტკბებოდა და სინარულით გული უძკერდა. ჯერ კი კარგა ხანს უუურა ჟაკოს, შემდეგ უცნობად ხელი სტაცა და ტუპის ტონრაკში გადაუძახა ისე, რომ სიტუვის თქმაც არ აცადა. ზაკოს იმედი არ გაუცრუვდა, ჩიტი მართლაც რომ გასაღდა კარგად, ზორტუგალებელ კანატიან გომეშს მიჰყიდა ცამეტნახევარ მარკად.<sup>4</sup>

1. ტე კიერო მუნო ფუერტემენტე (ესპ).—შიყვარხარ ძლიერ, მგზნებარედ.
2. ნეგრილი—ზანგი, პიგმეი—ჯუჯა.
3. მუნას გრაციას, კარო ამიგო (ესპ).—დიდი მაღლობა, ძვირფასო მვეობარო.
4. მარკა—გერმანული ფულის ერთეული.

მხატვარი სოფიო კინფურაშვილი





საქართველოს, მისი ახალი სახელი, მისი ახალი პერიოდის  
მისი ახალი სახელი, მისი ახალი პერიოდის



# ბუზი და ფუტკარი

ნამოჭინებულა და ისევ გადაიღო, უკვე დაფლეთილ ღრუბლებს შორის მზის ვერცხლისფერი დისკო გამოჩნდა...

ბუზს გუნება გამოუკეთდა მზის დანახვებზე, დახუთული ოთახიდან აივანზე გამოფრინდა, მზით განათებულ კედლებზე დაჯდა და შემოდგომის თბილი ჰაერის ჭავლებით გარემოცულმა ნებივრობა დაიწყო — ხან ლილისფერ თავს ისრესდა წინა თათებით, ხანაც მუქ ხორთუმს. ბოლოს გაყურდა და ნეტარებით გაიტრუნა სადილის მოლოდინში, რომელიც, ჩვეულებისამებრ, ვერანდაზე უნდა გაენყო დიასახლისს.

ამ დროს ზუზუნი შემოესმა. ველზე დამაშვრალი ფუტკარი შინ ბრუნდებოდა მძიმე ტვირთით. გზად დასვენება გადაწყვიტა და მიმედ დაეშვა თბილ მოაჯირზე.

— აქ რისთვის მობრძანებულხარ? — აფაცურდა ბუზი, მოაჯირზე გადაფრინდა და გვერდით მიუჯდა ფუტკარს. ცოტა ხანს იყურა, მერე ჰკითხა: — არ გებზრდება მთელი დღე აქეთ-იქით ხეტიალი ერთი წვეთი თაფლისათვის? თუმცა, ვგეიი ხორთუმი მაინცდამაინც ვერ გააძალობს. აი, ჩემსას შეხედე! უფრო მოკლეა, მაგრამ სამაგიეროდ განიერია, ოღონდ მოასწარი და შეისრუტე. — დასკვნა მან და ლილისფერი თვალები გადმოკარკლა.



— ასეთია თუ ისეთია, ალალ პურს მაჭმევს, — მშვიდად მიუგო ფუტკარმა, — ეგაც არ იყო, დაბადებიდან მიყვარს ყვავილები. მათკენ სიმღერით მივფრინავ ხოლმე.

— რამდენი ყვავილის შემოვლას შენ ასწრებ დღის განმავლობაში? მარტო სიმღერა დაგლღის! — დამცინავად გააქნია თავი ბუზმა.

— ოჯახისთვის გარჯა არც დამლელია, არც მოსაბებრებელი, — უპასუხა ფუტკარმა და გასაფრენად მოემზადა.

— მოიცა, მოიცა, — კვლავ მიაპყრო ბუზმა ფუტკარს თავისი უძრავი თვალები, — ახლა დიასახლისი სუფრას გაანყობს და ნახე, როგორა ვცხოვრობ — მაძლრად, თბილად და სიამოვნებით. სახლში დაბრუნება არც მოვინ...

სიტყვის დასრულება ვერ მოასწრო, რომ სამზარეულოდან დიასახლისი გამოვიდა, მაგიდა გადამწინდა, სკამები მიუდგა და ისევ გაუჩინარდა.

ძალიან ენანებოდა დრო გამარჯვებულ ფუტკარს, მაგრამ გადაწყვიტა მანაც დაეცადა და ენახა ეს ბუზის ნაქები ტკბილი ცხოვრება. ამასობაში მაგიდაზე უკვე გამოჩნდა ჭილის საპურე თხლად დაჭრილი პურის ნაჭრებით, მომცრო თევზი ყველის ფირფიტებით, რომლებსაც მთის იალაღების სურნელი ასდიოდა, კიდევ — მწვანელი და თევზი. იმარჯვა ბუზმა, და როგორც კი დიასახლისი სახლში შებრუნდა, სასწრაფოდ ეკვეთა სუფრას. აი, უკვე საჭმლის სუნისაგან სრულიად გონდაკარგული ყველს



დაექვერე, შემდეგ თვეზისაკენ გადაინაცვლა, მაგრამ იმავ წამს აფრინდა და ყველს დაუბრუნდა.

ბოლოს კმაყოფილი ისევ მოაჯირზე დაეშვა, — აი როგორ უნდა ცხოვრება, — უთხრა ფუტკარს, — განა მინდორ-მინდორ ხეტილია საქმე.

— ნაქურდალ ნაბუჯს ალალი ნამცეცი მირჩევნია. — მიუგო ფუტკარმა და სკისკენ გაფრინდა.

გაუმძლარი ბუზი კი, ვინ უწყის, უკვე მერამდენედ მიუბრუნდა სუფრას...

\*\*\*

აგრილდა მთაში, ობლად ირხეოდნენ ტანშემოძარცული კოპიტის შავი ტოტები. უკვე ჭირხლავდა გამთენიისას. ერთიმეორის მიყოლებით ცარიელდებოდა სააგარაკო სახლები.

მძიმე დრო დაუდგა მსუნავ ბუზს. ხმელი პურის ნამცეციც კი მეფური ნადიმი იქნებოდა მისთვის, მაგრამ ნამცეცი კი არა, საკვების სუნიც კი არ მოჰქონდა სიოს. იმედგადაწურულს სხვა ადგილზე გადაფრენა მოუვიდა აზრად, მაგრამ ასაფრენად ძალა აღარ ეყო, გათოშილი ფეხები გაჭირვებით მიაცოცებდნენ ფანჯრის ღრიჭოდან ოთახში. მყუდრო ჭჭურუტანაში მოკალათებული ცდილობდა ზამთრის ძილს მისცემოდა, მაგრამ შუადღისათვის ცაზე გამორჩენილი მზე და აივანზე დატრიალებული სითბო კვლავ გარეთ იტყუებდა ბუზს. ჩანს, ძილის დრო ჯერ არ დამდგარიყო...

რაც უფრო იგრძნობოდა მოახლოებული ზამთრის სუსხი, მით უფრო უჭირდა გამ-



რვე ფუტკარსაც ყვავილების მონახვა. სულ უფრო და უფრო შორს უხდებოდა მათ საძებნელად ფრენა. აი, ახლაც, ყველა გარშემომდებარე მინდორი მიმოიფრინა, მაგრამ ამაოდ. შემდეგ დაბლა, ხეობაში მოშრიალე ტყისკენ გაქანდა და, როგორც იქნა, ვერხვის კენწეროსთან ღეროს შემოხვეული სურის ყვითელი ყვავილი შეამჩნია.

დატვირთულმა ფუტკარმა წინანდებურად გადწყვიტა ნაცნობ მოაჯირზე შესვენება და ფანჯარასთან ნაცნობი ბუზი დაინახა.

— ვკვლები... — ძლივს ამოთქვა ბუზმა, — რაც ადამიანები წავიდნენ, პირში ხემსი არ ჩამსვლია... სიბრაულმა მოიცვა ფუტკარი, აფუთფუთდა და ჯაფითა და გაჭირვებით მოპოვებული ერთადერთი წვეთი ნექტარი გადმოუშვა ხორთუმიდან. სიკეთესა და ერთიმეორის გატანას მიუჩვენეული ბუზი დაენაფა და ნელ-ნელა ძალა დაუბრუნდა. მეორე დღეს მოლონივრებულმა ბუზმა ძველებურად მარდად შემოიარა ყველა კუთხე-კუნჭული; ბედმაც გაუღიმა — ჭურჭლის კარადის უკან შემთხვევით გადავარდნილ შაქრის ნატეხს მიაგრო. ახლა უკვე შეეძლო თავი გაეტანა ზამთრის დადგომამდე და შემდეგ, რომელიმე მყუდრო ჭჭურუტანაში ჩამალული, ძილს მისცემოდა.

\*\*\*

გაზაფხულის სითბოსთან ერთად ზამთრის მძიმე ძილისგან გამოფხიზლდნენ ბუზებიც და მაშინვე შეუდგნენ ჩვეულ საქმიანობას: უცერემონიოდ ახსდებოდნენ საკ-



ვებს, გაუჩრებლად ბზუოდნენ გარშემო, გამთენიისას სახესა და ხელებზე ულიტინებდნენ მიძინარე ადამიანებს...

მხოლოდ მოხუცი ბუზი არ იღებდა მონანილეობას მათ ავ თამაშობებში. ის კი არა და, როგორც შეეძლო, ცდილობდა ხელიც შეეშალა ახალგაზრდებისათვის. ისინი კი დასცივნოდნენ — გამოჩრჩვტდა დედაბერიო.

ამასობაში, ბუზებისგან გულგანვრილვბულმა ადამიანებმა მათი მოსპობა გადანყვიტეს. ბადაგნასშული ქალაღდის ზოღლები ჩამოკიდეს ჭვრზე. გაუმადლარი ბუ-

ზები, რაღა თქმა უნდა, დაუფიქრებლად ეძგერენ ბადაგს, მაგრამ ტკბილი მასისაგან თათები ველარ გაინთავისუფლეს... რაც მეტად ფართხალვბდნენ, მით უფრო მაგრად ეწებებოდნენ ქალაღდს, ყურღებოდნენ და ნელ-ნელა, წამებით იღუპებოდნენ. მხოლოდ მოხუცი ბუზი იჯდა უძრავად ჭვრში.

თავისი ხარზი თანამოქმეებისაგან განსხვავებით მან დიდხანს იცოცხლა, ღრმა მოხუცებუღობას მიაღწია და სიკვდიღის სამეფოში მშვიდი და ბედნიერი გადაფრინდა.



მზხანი ბარათია

## ხუთოსანი

კახა ფრიაღოსნანია—  
 ვუვლაფერში ხუთები აქუს.  
 თან ვარჯიშობს—სწორტსმენია,  
 ცარიელი კუნთებიღ.  
 მეკობრებსაც ასე ურჩევს:  
 გაიმავრეთ კუნთებიღ,  
 ტანვარჯიშშიც უნდა გქონღეთ,  
 მეკობრეღო, ხუთებიღ.



ამთავრდეს აღვივდით

### ბეჭედიკოს სასჯელი

მეზობელმა ბეჭუნამ თორნიკეს აუწყა:

— თორნიკე, ბეჭედიკომ შენი კატა მეხუთე სართულიდან გადმოაგდო!

— მერე? — ჰკითხა აღელვებულმა თორნიკემ.

— დაუჯერებელია, მაგრამ გადარჩა, ნამოსტა და მოკურცხლა!

თორნიკეს ჩაეცინა:

— ხა-ხა-ხა...

— რა გაცინებს?! — გაოცდა მეზობლის ბეჭუნა.

— კიდევ კარგი, რომ კატა არ დაშავდა, თორემ თაგვების დაჭერა ბეჭედიკოს მოუხდებოდა.

დიდი ფილოსოფოსის არისტოტელეს აზრით, „ვინც არასოდეს არ ხუმრობს და სხვის ხუმრობას უსიამოვნებად მიიჩნევს, ის ყველაზე დიდი მხეცია!“ ხუმრობასა და ენამახვილობას დიდი ძალა აქვს. მართლაც, ვინც თქვენს შორის უფრო ენამოსწრებულა, ხშირად მეგობრულ დავაში გამარჯვებული გამოდის. ენაწყლიანს, ენამჭვერს ხშირად შეუძლია დააცხროს თავისი შეცდომის გამო გაწბილებული ბებო, ბაბუა თუ დედ-მამა.

პატარებო, ნუ დაგავწყვდებით. თუ თქვენს მეგობარს რაიმე შეცდომა მოუვია, ან სასტიკ საქციელს ჩაიდენს, მის გამოსასწორებლად ენამჭვერობა უფრო კარგი წამალია, ვიდრე ჩხუბი და კინკლაობა.



### ჩაი და სიღინჯა

ერთხელ თორნიკე გადაჭარბებული სიღინჯით საუზმობდა, დედამისი კი წამინამ აჩქარებდა:

— დროზე შესვი ჩაი, სკოლაში გავვიანდება, რა მოგივიდა, შენი ტოლი რომ იყო პატარა კახი, ლამის იყო ზღვას ხერებდა, შენ კი ეს ერთი ჭიქა ჩაი ვერ დაგიღევია!

— „ეს ჩვენი მეფე ერეკლე ერთი პატარა კახია, ჯაჭვის პერანგი ჩააცვეს, გაჰკრა ხელი და გახია!“

— თქვა თორნიკემ.

— დიხაც რომ ის ჯაჭვის პერანგს ხევდა, შენ კი რა გავიხდა ეს ერთი ჭიქა ჩაი? — ზღვას ხერებდა, ჯაჭვის პერანგს ხევდა, მაგრამ არა მგონია, რომ პატარა კახს ცხელი ჩაით პირი გამოეთუთქა! — უპასუხა თორნიკემ და საუზმე გააგრძელა.



მხატვარი ზისო ხილაშვილი



არწოლ გეგეპორო

## ყვავს თავისი ბახლა ქვეყანას ურჩევ- ქვეყანას ურჩევნი

ყვავს თავისი ბახლა ქვეყანას ურჩევ-  
ნიაო, გადატანით იტყვიან ხოლმე დედის  
თავდადებულ სიყვარულზე შვილი-  
სადმი. არადა, მართო გადატანით კი არა,  
პირდაპირი მნიშვნელობითაც შეიძლება  
ამის თქმა. ფრინველებისთანა მშობლობას  
ცხოველთა სამყაროში ვერავენი დაიკვივნის.  
დედა ჩიტიც და მამაც ისე თავგანწირულად  
უფლიან შვილებს, რომ ზოგჯერ თავსაც კი  
ანაცვალენ ბარტყების გაზრდას.

ბარტყი დაფრთიანებამდე ძალიან სწრა-  
ფად ვითარდება — ორი კვირა ზის ბუდეში  
და ამ პერიოდში ბევრი საკვები სჭირდე-  
ბა — მისი დღიური ულუფა მისივე ნონის  
ნახევარს მაინც შეადგენს. ახლა წარმოიდ-  
გინეთ, თუ ერთ ნაჩექში ოთხი, ხუთი, ექვსი  
ან მეტი ბარტყია, რამდენი საკვების მო-  
ზიდვა სჭირდებათ მშობლებს! სამხრეთის  
ქვეყნებში მცხოვრები ბელურები შვილები-  
სათვის გამთენიის საში საათიდან საღამოს  
ათ საათამდე ეზიდებიან საკვებს. ზოგიერთი  
სახეობის პანანონა ნინკანები, რომლებიც  
სულ რალაც თხუთმეტ-ოც გრამს ინონიან,  
ბარტყების გამოსაკვებად დღეში ოთხასსა-  
მოცდათხუთმეტ გაფრენას ახდენენ. მკა-  
ლობელი შამპი დღეში საშუალოდ სამას  
ოცდაათ მატლსა და ზრდასრულ მწერს  
იჭერს.

ეს ყველაფერი იმ ფრინველებს ეხება, რომ-

ლებიც ზაფხულის განმავლობაში თითო ფი-  
ობას ზრდიან. მაგრამ ზოგს წელიწადში  
ორი და სამი ბუდეობაც შეეძ. თანაც კვირ  
პირველი თაობა „დაფუჟაკებული“ არც  
არის, ისევ საჭიროებს ხოლმე მშობლის  
ყურადღებას, რომ უკვე მეორე თაობა იჩე-  
კება. ასეთ დროს მდედრი მეორე ბუდეს აგ-  
ებს და იქ დებს კვერცხებს, მაშინ კი პირვე-  
ლი თაობის მოვლა-პატრონობას კისრუ-  
ლობს. გარდა ამისა, როგორც კი მეორე თა-  
ობის ბარტყები დაიჩქეებიან, მაშინ ეხმარე-  
ბა თავის მენყვილეს ამ პატარების გამოკ-  
ვებაშიც.

და აი, ბარტყები დაფრთიანდნენ. პირვე-  
ლი, ჯერ კიდევ გაუბეღავი გადაფრენა სცა-  
დეს ბუდის ახლო-მახლო; შემდეგ თანდა-  
თან გაიწაფნენ, გათამამდნენ. თითქოს  
დროა, დამოუკიდებელი ცხოვრება დაიწყონ,  
მაგრამ მშობლები მაინც არ ასვენებენ,  
ორი-ხუთი კვირა კიდევ ჰკვებავენ შვილებს.  
ასე იქცევა ჩვენში მობუდარ ფრინველთა  
უმრავლესობა.

მწერიჭამია ფრინველები, სახელდობრ,  
მერცხლები და ნამგალები, ერთხანს თავი-  
ანთ პატარებს პირდაპირ ჰაერში კვება-  
ვენ — საკვებს ნისკარტიდან ნისკარტში აწ-  
ვდიან, ცოტა მოგვიანებით კი დაჭერილ  
მსხვერპლს ფრენის დროს ესვრიან ბარტ-  
ყებს. ეს ავარჯიშებს პატარებს. უვითარებს  
ფრენის მიზანდასახულობას, სისწრაფეს,  
მანევრირების უნარს და სხვა მონადირულ  
ჩვევებს.

ასეთი რთული სანადირო ტექნიკის და-  
უფლება, რა თქმა უნდა, მინაზე მკვებავ



მხატვარი ნანა სულემიანაშვილი



ფრინველებს არ სჭირდებათ. კენკვა გაცი-  
ლებით უფრო იოლია და ამასთან თანდაყო-  
ლილი თვისებაა. მაგრამ მიუხედავად ამისა,  
თესლიჭამია ფრინველებსაც სათანადო  
წვრთნა სჭირდებათ. პირველ რიგში მათ  
უნდა გაარკვიონ, რას დაჰპირან ნისკარტი  
და რისგან შეიკავონ თავი.

დედალი დიდი მურტალა გაიყვანს ხოლ-  
მე თავის ჭუკებს წყალში, დაიჭერს თევზს  
და ცხვირწინ დაუგდება. თუ ბარტყები  
მსხვერპლს არ გამოედევნენ, დედა მურტა-  
ლა საშუალებას აძლევს თევზს, გარკვეული  
მანძილი გაეუროს, შემდეგ მეორედ იჭერს  
და კვლავ უგდება ბარტყებს. გაკვეთილი  
მანამდე მეორდება, სანამ „მონაფეები“ არ  
მიხვდებიან, რომ თევზს თვითონ უნდა გა-  
მოედევნონ და დაიჭირონ.

ფრინველების შემსწავლელი მეცნიერი,  
ანუ ორნითოლოგი გ. მაკფერსონი რამდენ-  
იმე კვირის განმავლობაში აკვირდებოდა,  
როგორ თანდათანობით, მოთმინებით ას-  
წავლიდა მთის არწივი ბარტყს ნანადირე-  
ვის ასო-ასო დაგლეჯას.

აღბათ გაგვიგონიათ, რომ გუგული და  
სხვა ეგრეთ წოდებული ბუდის პარაზიტი  
ფრინველები თავიანთ კვერცხებს სხვის ბუ-  
დეებში აწყობენ და ასე მრავლდებიან. მგა-  
ლობელი ფრინველები ან ქათმისნაირები  
გამორეკლ უცხო ბარტყებს საკუთარივით  
კვებავენ და უწლიან, მაგრამ აი, ვთქვათ  
კრუხ არწივს და ქორს საკუთარი კვერცხის

ნაცვლად იხვის ან ქათმის კვერცხები ჩაუ-  
დეთ ბუდეში. წინილა კი გამოიჩეკება, მაგ-  
რამ, როცა თავისი მოდგმის წესის თანახმად  
ის ბუდეს დატოვებს, დედობილ-მამობილიც,  
თავიანთი მოდგმის წესის თანახმად, დააც-  
ხრებთან მას, როგორც საერთოდ ხდება ბუ-  
ნებაში.

ზოგიერთი მტაცებელი ფრინველი უფრო  
ადრეც, წინილის გამოჩეკამდეც ხვდება,  
რომ კვერცხი მისი არ არის. მას კვერცხი-  
დან ესმის ხმა, და თუ ხმა უცხოა, უცნობი  
ბარტყი მტრად მიიჩნევა და ან ნაჭუჭშივე  
ისპობა, ანდა, თუ გამოიჩეკა, დედობილის  
მხრივ სრულ გულგრილობას აწყდება.

ასეა ქათმისნაირებშიც. ერთხელ ერთი სა-  
ხეობის სოხობს ჩაუწყვეს მეორის კვერცხე-  
ბი. გამოჩეკილ წინილებს კრუხი ჯერ ნამ-  
დვილი დედობრივი მზრუნველობით შეხვ-  
და. მაგრამ, ცოტა მოგვიანებით მან ყურად-  
ღება მიაქცია იმას, რომ წინილის ფერი  
განსხვავდებოდა მისი მოდგმის წინილების  
ფერისაგან, და დედობრივი დამოკიდებუ-  
ლება მაშინვე მტრულმა შეცვალა. ის იყო,  
უნდა ჩაენისკარტებინა წინილისათვის, მაგ-  
რამ სულ ბოლო წამს საკუთარ წინილებთან  
მსგავსებით გამოწვეულმა დედურმა  
გრძნობამ მაინც სძლია მტრულს და კრუხ-  
მა თავდასხმისაგან თავი შეიკავა. ასე. გან-  
მეორდა რამდენჯერმე. დაბოლოს, დედობ-  
რივმა ინსტიქტმა იმძლავრა — კრუხმა შეი-  
ლობილი მაინც თავისად ცნო და შეითვისა.

10581


საქ. სსრ კ. მარქსის  
სახ. სახ. რესპუბ.  
ბიბლიოთეკა



## უზანა სახლთსუციოვილი

ბავშვებო, დაეხმარეთ ხუთკუნკულას დაუბრკოლებლად მიად-  
წიოს ხელმწიფის სახაბლემდე. ამისათვის საჭიროა ნახატზე მოცე-  
მული ბილიკებიდან სწორად შეარჩიოთ ერთ-ერთი, ესე იგი, სწო-  
რად შეავსოთ ჩაინვორდი.





საქართველოს ალექს. ცუცისა და ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერთა ორგანიზაციის რესპუბლიკური საბჭოს ეურნალი უმცროსკლასელებთვის.

გამოცემის 1987 წლიდან.  
საქ. კვ. ცუცის გამოცემლობა.

შთავარი რედაქტორი  
მეცხარ ნინო ბარბაქაძე

სარედაქციო კოლეგია: მუხარამ აბოშაძე, ილია ანთილაძე, ლამარა ბაგვა, შიარ ღვებიაშვილი, სოლომონ ღვებიაშვილი, ლილია მარამია, ვალა ლოსაბერიძე, მარიალევანოვი, გურამ ნადირაძე, გიორგი გომიშვილი (სამხატვრო რედაქტორი), თინათინ ჯალაღარი (მხატვარი), გივი მენაბდე, ვივი მთვალე, მანანა ხაჩიძე.

ტექნიკური რედაქტორი  
ენდი წერეთელი

მისამართი: რედაქციის, გამოცემლობის, სტამბის—თბილისი, ლენინის, 14. ტელ.: შპ. რედაქტორის 98-41-80, 98-98-15; მ/შ. მღვიმის 98-10-82, 98-98-18; საშ. რედაქტორის — 98-98-18; განყოფილებების: 98-98-19; 98-98-17.

გაზეთის საწიფო ღირებულება 29. 11. 66 წ. ხელმოწერისას დასაბუღებლად 28. 01. 86 წ. ქალაქის ზონა 80×90/4, ფიზ. ნახ. ღირს. 2,5. ტარაგი 169.000, შეკეთა 2844.

უფლები ნახატი ნანა  
მარტოშვილი

«Дила» («Утро»), ежемесячный журнал ЦК ЛКСМ Грузии и Грузинской Республиканской Совета Всесоюзной пионерской организации им. В. И. Ленина для младшеклассников, на грузинском языке. Отпечатано в типографии издательства ЦК КП Грузии.

Главный редактор Эвер Никарадзе (тел. 93-41-30). Адрес редакции и издательства: 380096, г. Тбилиси, ул. Ленина, 14. Объем 2,5 печатных листа, тираж 168.000. Заказ № 2844.

1. იპოვეთ სიტყვა „ჩირგვის“ სინონიმი (იმავე მნიშვნელობის სხვა სიტყვა).


2. სამეურსამო ფერადი ფანქარი აქვს ნინოს და სურს რამდენიმე კიდევ შეიძინოს. თითო-თითო ანუქვს გიამ, ლიამ, ბარამ. ოცის შესრულებამდე თქვე, რამდენი დარჩა?

3. იპოვეთ სიტყვა „რბილის“ ანტონიმი (საწინააღმდეგო მნიშვნელობის სიტყვა).

4. ცას ღრუბელი გადაეკრა კუნაპეტო შავი, ჩიტუნებმა დიღრონ ხეგმა შეაფარეს თავი.

ატყდა ერთი ჩახა-ჩუხი, ხის ტოტების ბერტყვა, გარეთ გასვლას ვერვინ ბედავს...

რა მოსულა?— . . . . .



ნ. იგი პირველი მოფრინავს გაზაფხული რომ მოვა, ანბანის პირველი ბგერით შეცვლი მის ბოლო ხმოვანს.

ახლა გვირდება რიყებზე რაც ყრია ბევრზე ბევრი, მისი ხმოვანიც შეცვალე ანბანის მეცხრე ბგერით. შეაერთე და მიხვდები, სულაც არ არის ძნელი! იგი ბარის და ნიჩაბის მეგობარია ძველი.

მხატვარი მუხარამ აბოშაძე

# ჩხირკედელა

შანი თოჯინების თეატრი



ერთხელ ოსტატმა ჩკოს კაცუნამ თავის მეგობრებს საკუთარი თეატრის მოწყობა შესთავაზა. ყველანი სიხარულით დათანხმდნენ და მაშინვე საქმეს შეუდგნენ. ჯერ სცენის მოსაწყობად სწორზურგთან სკამებზე გრძელი კეტი ვადეს და ფარდა ჩამოაფარეს (იხიცი თქვენს—ზაფხულში ასეთი კეტი შეიძლება მიწაში ჩარქობილ ორ ორკაპათავიან ჯოხზე ვადლოთ), მერე ბაცი ფერის მალდისხაგან თოჯინებისათვის ორ-ორი აი, ასეთი გამოსახულება გამოჭერეს, ნახატზე რომ არის მოცემული. წინა გამოსახულებას სახე მოუქარგეს, აპლიკაციის თვალები და პირი დააკერეს, მერე თარგები ლილიკილოსებური ნაკერით შეაერთეს. გოგონას ნართის ძაფის უავისფერი თმები გაუკეთეს და ფერადი ბაფთა შეაბეს. კაბა ლამაზი საყელოთი დაუმზვენეს. ბიჭუნას ცხვირპირი მოუქარგეს და შავი ქოჩორი გაუკეთეს, ერთი ფერის საყელო და მსხვილი ლილები დააკერეს. გააკეთეს ბაჟია-თოჯინაც. ბავშვებო, თქვენც რომ სცადოთ, უთუოდ შეძლებთ ასეთი მარტივი თოჯინების შექარვას. მერე ხელთათმანივით შეუავით შიგ ხელი, ისე როგორც ნახატზეა ნაჩვენებ, და ამოძრავეთ. თოჯინას ხელებიც აუშოქმედდება და თავსაც თავისუფლად დახრის.

ასეთი თარგებით შეგიძლიათ თქვენთვის სასურველი პერსონაჟებიც შექმნათ.

